

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის  
სხდომის

ო ქ მ ი # 12

ქ. საჩხერე

2020 წლის 07 სექტემბერი

სხდომის ესწრებოდნენ: ლ. დეკანოიძე ი. ძინძიბაძე, ნ. ბუღაძე, დ. მაჭარაშვილი,  
შ. ტყემალაძე.

არ ესწრებოდნენ: მ. დემეტრაშვილი (იმყოფება შვებულებაში), თ. კალმახელიძე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდა საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ჩხიკვაძე.

### დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი

საჩხერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების  
შეტანის შესახებ.

/ მომხს: საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლ. დეკანოიძე /

მოისმინეს: საჩხერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების  
შეტანის შესახებ. მომხსენებელმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ 2020 წლის ბიუჯეტში  
განხორციელდა მეთუე ცვლილება, რომელიც განპირობებულია ახალი კორონავირუსის  
(COVID-19) პანდემიის გამო მიღებული შემოსავლების, კერძოდ დამატებითი ღირებულების  
გადასახადის 1 650 000 ლარით შემცირებით და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19  
აგვისტოს # 1570 განკარგულებით ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიიდან  
გამომდინარე საჩხერის მუნიციპალიტეტისათვის 1 100 000 ლარის გამოყოფით.


კომისიის წევრები გაეცვნენ, რომ წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტი მცირდება  
550 000 ლარით. ასევე მომხსენებელმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ მეთუე  
ცვლილებით ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 35 102 000 ლარით. საიდანაც  
ხარჯების დაფინანსებას უნდა მოხმარდეს 10 228 000 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების  
ზრდას 24 799 600 ლარი.

კომისიაზე განხილულ საკითხზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვას და აქტიურად მონაწილეობდნენ კომისიაზე მყოფი ყველა წევრი.

დაადგინეს:

- საჩხერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები და დამატებები განხილული იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე.

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე:

/ლ. დეკანოიძე/